სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

78873418740723

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230359961

რეგისტრაციის თარიღი

21.03.2023 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კაკოჩაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.
ტელეფონი: 2 30 69 98; 591 70 99 72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Scanned by TapScanner

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ მარტს მე ნოტარიუს ნუნუ კაკოჩაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67-ის მიმდებარედ მომმართა შპს "ტრანსსერვისი"-ის (რეგისტრირებული: 09/09/1996წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის ქ.,98, საიდენტიფიკაციო კოდი: 206047874) დირექტორმა ბექა მახარაძემ. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე ᲛᲘᲡᲘ პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბექა მახარაძემ (დაბ.: 24.01.1977წელს, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ი.გაგარინის ქ. 14/16 ბ. 32, პირადი #01008005162) მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ზ/აღნიშნული შპს თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22040111, ამონაწერის მომზადების თარიღი: 05/04/2022წ. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მას ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს "ტრანსსერვისი"-ის (რეგისტრირებული: 09/09/1996წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის ქ., №98, საიდენტიფიკაციო კოდი: 206047874) დირექტორმა ბექა მახარაძემ (დაბ.: 24.01.1977წელს, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ი.გაგარინის ქ. N 14/16 ბ. 32, პირადი #01008005162), რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც `მიმნდობი," მევლუდ მაისურაძეს (დაბადებული:07.09.1973 წელს, პირადი #22001005383), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი პირი" წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი" უფლებამოსილია „მიმნდობის" სახელით აწარამოოს მიმნდობის კუთვნილ უზრავ ქონებაზე ს/კ # 01.17.12.001.062, სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოები, წარადგინოს პროექტი დასამტკიცებლად, შეათანხმოს კორექტირებული პროექტი, შეათანხმოს I კლასის ფოტომონტაჟები შესაბამის სამსახურებთან, მოახდინოს ნაკვეთის ზონის ცვლილება, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი განცხადებები, დოკუმენტები, პროექტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი, „მინდობილი პირი" უფლებამოსლია წარმოადგინოს და დაიცვას მიმნდობის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა საკრებულო), ზედამხედველობის სამსახურში, მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, გადაიხადოს ნებიმიერი გადასახადები, ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი ცნობები, მოწმობები, დოკუმენტები. წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი განცხადებები, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში დამატებით წარადგინოს დოკუმენტები, შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება „მიმნდობის" დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია მიმნდობის უმრავი ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე, სამი თვის ვადით და მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა `მიმნდობს. წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს" ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. მიმნდობმა მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად ნოტარიუსის თანდასწრებით.

სანოტარო მომსახურების საზღაური სულ ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი , აქედან 30.00 /ოცდაათი ლარი და ნული თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება N507) 31-ე მუხლისა, 5.40 /ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 39-ე მუხლისა.

მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი: ---------- / ნუნუ კაკოჩაშვილი /

Scanned by TapScanner